საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო

2020

პროექტი: არაგვის თემთა მდგრადი განვითარება

ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“-ი ახორციელებს პროექტს „არაგვის თემთა მდგრადი განვითარება“, რომელიც ხორციელდება ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით პროგრამა „მთიანი რეგიონების და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარება ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის მხარეებში“ ფარგლებში.

კონკურსის მიზანია არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ შემუშავებული 2020-2025 წლების განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და მიზნების შესაბამისად, ფშავის, გუდამაყრისა და ხევსურეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება ეკონომიკური საქმიანობების განვითარებითა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვის გზით.

საპროექტო წინადადებები განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათში მოცემული პროექტები განხორციელდება მხოლოდ გუდამაყარში, ფშავში და პირაქეთა ხევსურეთში (გთხოვთ, დანართში 1 იხ. სამიზნე სოფლების ჩამონათვალი).

საგრანტო კონკურსის ფარგლებში საპროექტო განაცხადების მხარდაჭერა მოხდება მხოლოდ „2020-2025 წლების არაგვის თემთა განვითარების სტრატეგია“-ში ასახული პრიორიტეტების გათვალისწინებით. დაფინანსდება საჯარო, სათემო და ბიზნეს ინიციატივები. ყველა პროექტს მოეთხოვება თანადაფინანსება.

მიმდინარე 2020 წლის საგრანტო კონკურსის განსაკუთრებული პირობები

2020 წლის საგრანტო კონკურსში ერთ-ერთ პრიორიტეტად მხარდაჭერილი იქნება სასოფლო-სამეურნეო მიმართულების განაცხადები, რომლებიც გულისხმობენ სამიზნე რეგიონში ახალი კულტურების ან პრაქტიკის დანერგვას და ემსახურებიან რეგიონის მოსახლეობას, როგორც სადემონსტრაციო/საჩვენებელი მოდელი.

2020 წლის საგრანტო კონკურსში, ნებისმიერი პროექტი რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს, უნდა აკმაყოფილებდეს პროექტის ფარგლებში შემუშავებულ, შენობის შიდა და გარე მოპირკეთების მოთხოვნებს, რაც გულისხმობს ადგილობრივი, ტრადიციული არქიტექტურის ელემენტების, სტილის და მასალების გამოყენებას. დეტალური რეკომენდაციები განმცხადებლებისთვის ცნობილი გახდება, სრული განაცხადების წარდგენის საკონსულტაციო ეტაპზე. ამავე დროს განმცხადებლებს ექნებათ ვალდებულება წარმოადგინონ პროექტის ესკიზი.

2020 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ყველა საპროექტო განაცხადი, რომლით გათვალისწინებული საქმიანობა საჭიროებს წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის

მოწყობას ან გამოყენებას, უნდა აკმაყოფილებდეს გარემოსთვის უსაფრთხო სისტემების დანერგვას. აღნიშნული სისტემის დანერგვის მოთხოვნის თანადაფინანსება შესაძლებელია მიმდინარე საგრანტო კონკურსში.

ყველა წარმოდგენილი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს COVID-19-ის ეპიდემიოლოგიური რისკის შემცირების სტანდარტებს, საქმიანობის სფეროების შესაბამისად.

ყველა მხარდაჭერილი პროექტის განხორციელების გეგმა შემუშავდება ინდივიდუალურად და საგრანტო ხელშეკრულებები დაიდება შესაბამისი გეგმის მიხედვით.

საგრანტო კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასების პროცესი

Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული საგანგებო ზომების გათვალისწინებით საგრანტო კონკურსის უმრავლესი აქტივობები წარიმართება დისტანციურ რეჟიმში სხვადასხვა ინტერნეტ ტექნოლოგიების დახმარებით. ინდივიდუალური კონსულტაციები საველე ოფისში განხორციელდება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით, სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობიტ და ყველა დაინტრესებულ პირს მოეთხოვება ვირუსის გავრცელების რისკის შემცირების რეკომენდაციების დაცვა. ცხელი ხაზის ნომერი 595 705 888

იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უნდა განხორციელდეს 2020 წელს, შემოსული საპროექტო განაცხადები, რომლებიც ეხება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, განიხილება დაჩქარებული წესით.

საინფორმაციო კამპანია

საგრანტო კონკურსის წარმატებით ჩატარების მიზნით "ფიფლ ინ ნიდ" და "არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი" იწყებენ საინფორმაციო კამპანიას სამიზნე თემებში: გუდამაყარში, ფშავსა და პირაქეთა ხევსურეთში. ფიფლ ინ ნიდ-ის თანამშრომლები ყველა სამიზნე სოფელში შეძლებისდაგვარად განათავსებენ საინფორმაციო პოსტერებს. არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის წევრები ჩაერთვებიან საინფორმაციო კამპანიაში, რათა მაქსიმალურად მოხდეს ინფორმაციის გავრცელება კონკურსის შესახებ. დაწვრილებითი ინფორმაცია საგრანტო კონკურსის პირობების შესახებ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ასევე განთავსდება ფიფლ ინ ნიდ-ის[1] და არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის[2] ვებ გვერდებზე, ასევე არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის[3] ფეისბუქ გვერდზე

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით ან ინდივიდუალურ კონსულტაციაზე წინასწარი ჩაწერისათვის იმუშავებს სატელეფონო ცხელი ხაზი.

---

[1] PIN.GE
[2] http://www.aragvilag.ge/
3 Aragvi Local Action Group / არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი

კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს:

- საქართველოს მოქალაქე სრულწლოვანი პირი რომელიც შემდგომ დარეგისტრირდება მეწარმე სუბიექტად;
- საქართველოში რეგისტრირებული იურიუდიული პირები (შპს, სპს, სს და ა.შ);
- რეგისტრირებული სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ფონდი და ა.შ);
- საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
- კულტურულ/საგანმანათლებლო ორგანიზაციები;
- საინიციატივო ჯგუფები

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

- პოლიტიკურ პარტიებს;
- რელიგიურ ორგანიზაციებს;
- ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო, ლომბარდი და ა.შ.);
- ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯუფებს და ა.შ. რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური პირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
- ფიფლ ინ ნიდ - ის თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს;

საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა

„ფიფლ ინ ნიდ“-სგან მოთხოვნილი თანხა უნდა იყოს 3 000-დან 35 000 ლარამდე. გამონაკლის შემთხვევებში, ფონდების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ორგანიზაციას შეუძლია განიხილოს გრანტის ოდენობა 100 000 ლარამდე.

მცირე და საშუალო მეწარმეებისგან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან და საინიციატივო ჯგუფებისგან 60 000 ლარამდე გრანტებისთვის განმცხადებლის მხრიდან აუცილებელი თანადაფინანსება შეადგენს მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 20%. 60 000 ლარზე მეტი გრანტისთვის განმცხადებელს მოეთხოვება 30%-იანი თანადაფინანსება.

არამომგებიანი პროექტების სავალდებულო თანადაფინანსება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი სქემით: საკუთარი თანადაფინანსების 20% ან 30%-დან ნახევარი შესაძლებელია იყოს ფულადი სახსრები, ხოლო ნახევარი არაფულადი, შრომითი რესურების გამოყენებით.

თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ მონაწილესთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დახარჯული თანხა. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს საპროექტო განაცხადის ბიუჯეტის საკუთარი თანამონაწილეობის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საგრანტო ნაწილში შესაბამისი აქტივების შესყიდვა მოხდება „ფიფლ ინ ნიდ“-ის მიერ.

<u>დაუშვებელი ხარჯები, მათ შორის განმცხადებლის თანადაფინანსების ნაწილში:</u>

- ვალების/სესხების დაფარვა;
- მომავალი ხარჯის დაფარვა-ხელფასები/ჰონორარი და სხვა მიმდინარე ხარჯები;
- უკვე აღებული ვალდებულებების დაფინანსება (მაგ. სხვა წყაროდან უკვე დაფინანსებული ვალდებულებების დაფარვა);
- ინდივიდუალური ხარჯები (მაგ. საგანმანათლებლო და სამოგზაურო ხარჯები).

ფიფლ ინ ნიდ- ისგან მოთხოვნილი თანხებით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

- ხელფასები (გამონაკლის შემთხვევაში შესაძლოა დაფინანსდეს ექსპერტის/სპეციალისტის ჰონორარი);
- მიმდინარე ხარჯები/საბრუნავი საშუალებები;
- მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, შინაური ფრინველების შეძენა, გამონაკლისის სახით დაფინანსდება ფუტკრის ოჯახების შეძენა განმცხადებელთან ინდივიდუალური კონსულტაციის საფუძველზე;
- უძრავი ქონების შეძენა;
- სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;
- აკადემიური და სამეცნიერო კვლევები;
- სასწავლო/სამეცნიერო გრანტები (გარდა სპეციფიკური საჭიროების პროფესიული კურსების);
- ნებისმიერი ერთჯერადი საქმიანობა, მათ შორის ტრენინგები;
- ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;
- ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები;
- გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;
- ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად;
- მესამე მხარისათვის გაცემული სესხები;
- სადაზღვევო ხარჯები;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები;
- სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებელი;

ხარჯები, რომელთა გათვალისწინება დაუშვებელია „ფიფლ ინ ნიდ“ - ისგან მოთხოვნილი გრანტის ნაწილში, მაგრამ შესაძლებელია განმცხადებლის თანადაფინანსების ნაწილში:

- მიწის და შენობის ყიდვა;
- სარემონტო მასალები და მომსახურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ პროექტის ფარგლებში შემუშავებულ შენობის შიდა და გარე მოპირკეთების მოთხოვნებს, რაც გულისხმობს ადგილობრივი, ტრადიციული არქიტექტურის ელემენტების, სტილის და მასალების გამოყენებას;
- მშენებლობა (შესაძლებელია დაფინანსდეს მსუბუქი კონსტრუქციები სოფლის მეურნეობის და წარმოება-გადამუშავების სფეროსთვის. მაგალითად: რძის პროდუქტების საწარმო, თაფლის გადამამუშავებელი საწარმო და ა. შ.), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშენებლობაც და მსუბუქი კონსტრუქციებიც აკმაყოფილებენ პროექტის ფარგლებში შემუშავებულ შენობის შიდა და გარე მოპირკეთების მოთხოვნებს, რაც გულისხმობს ადგილობრივი, ტრადიციული არქიტექტურის ელემენტების, სტილის და მასალების გამოყენებას;

- ნედლეული;
- ცოცხალი საქონლის/ფრინველის შეძენა;

განსაკუთრებული პირობები:

- 2020 წლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ყველა საპროექტო განაცხადი, რომლით გათვალისწინებული საქმიანობა საჭიროებს წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის მოწყობას ან გამოყენებას, უნდა აკმაყოფილებდეს გარემოსთვის უსაფრთხო სისტემების დანერგვას. აღნიშნული სისტემის დანერგვის მოთხოვნის თანადაფინანსება შესაძლებელია მიმდინარე საგრანტო კონკურსში.
- ყველა წარმოდგენილი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს COVID-19-ის ეპიდემიოლოგიური რისკის შემცირების სტანდარტებს, საქმიანობის სფეროების შესაბამისად.
- ყველა მხარდაჭერილი პროექტის განხორციელების გეგმა შემუშავდება ინდივიდუალურად და საგრანტო ხელშეკრულებები დაიდება შესაბამისი გეგმის მიხედვით.

სტანდარტული პროცესი	დაჩქარებული პროცესი სოფლის მეურნეობის პროექტებისათვის
საგრანტო კონკურსი განხორციელდება ექვს ეტაპად: **I ეტაპი** - კონსულტაცია კონკურსის შესახებ, პირველადი საპროექტო განაცხადების წარდგენა; **II ეტაპი** - პირველადი განაცხადის შეფასება; **III ეტაპი** - ტრენინგი სრული საპროექტო განაცხადის დასაწერად; **IV ეტაპი** - სრული საპროექტო განაცხადების წარდგენა, განხილვა; **V ეტაპი** - შერჩეულ განმცხადებლებთან გასაუბრება და საველე მონიტორინგი; ; **VI ეტაპი** - საბოლოო გადაწყვეტილება და საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა	*საგრანტო კონკურსის სოფლის მეურნეობის ნაწილი განხორციელდება ხუთ ეტაპად:* **I ეტაპი** - საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აფიქსირებენ საკუთარ იდეას სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობით; **II ეტაპი** - საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა კონსულტაცია; **III ეტაპი** - სრული განაცხადების წარდგენა, განხილვა; **IV ეტაპი** - შერჩეულ განმცხადებლებთან გასაუბრება და საველე მონიტორინგი; **V ეტაპი** - საბოლოო გადაწყვეტილება და საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა
I ეტაპი - კონსულტაცია კონკურსის შესახებ, პირველადი საპროექტო განაცხადების წარდგენა; საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დროს, დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ ვიდეო კონსულტაციით, რომელსაც ჩაწერენ ფიფლ ინ ნიდ - ის თანამშრომლები, ვიდეოში განმარტებული იქნება საგრანტო კონკურსის პრიორიტეტები, შერჩევის კრიტერიუმები და პროცესი, ასევე განაცხადის ფორმები, ბენეფიციარების მიმართ არსებული მოთხოვნები, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თუ შესყიდვის პროცედურები და ა.შ. ვიდეო გავრცელდება არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის ფეისბუქ გვერდზე (Aragvi Local Action Group / არაგვის თემთა განვითარების ჯგუფი) და ვებ გვერდზე - www.aragvilag.ge საგრანტო განაცხადის ფორმები, საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო, არაგვის თემთა განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი და საგრანტო კონკურსის პრიორიტეტები განთავსდება	**I ეტაპი - საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აფიქსირებენ საკუთარ იდეას სატელეფონო ცხელი ხაზის მეშვეობით;** საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, სამიზნე თემების ყველა დაინტერესებულ მაცხოვრებელს და ორგანიზაციას ექნება შესაძლებლობა დარეგისტრირდეს ცხელი ხაზის საშუალებით, რომელსაც მოემსახურება ფიფლ ინ ნიდ-ის თანამშრომელი, სამუშაო დღეებში 10:00 დან 18:00 საათამდე. ფიქსირდება საპროექტო იდეა, პროექტის განხორციელების ადგილი, განმცხადებლის პირადი მონაცემები და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი. (ცხელი ხაზის სატელეფონო ნომერი გავრცელდება ყველა თემში და გამოიკვრება საინფორმაციო განცხადებები). **II ეტაპი - საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა კონსულტაცია;** კონსულტაციები გაიმართება ყველა დაინტერესებული, დარეგისტრირებული განმცხადებლისთვის რათა მათ უკეთ განემარტოთ პრიორიტეტები, შერჩევის კრიტერიუმები და პროცესი, ასევე განაცხადის ფორმა,

არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის[4] და ფიფლ ინ ნიდ - ის[5] ოფიციალურ ვებ.გვერდებზე
პირველადი საგრანტო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე: **aragvigrants@gmail.com**

განაცხადების წარდგენა იწარმოებს: 22.06.2020-დან 06.07.2020-ის ჩათვლით.

II ეტაპი - პირველადი განაცხადის შეფასება;

საპროექტო იდეის პირველადი განაცხადის წარდგენის შემდეგ, არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისიის მიერ მოხდება მისი შედარება არაგვის თემთა განვითარების სტრატეგიისა და საგრანტო კონკურსის ძირითად მოთხოვნებთან (იხილეთ პირველადი საპროექტო განაცხადის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები - დანართი #2). ყველა პირველადი განაცხადი, რომელიც კრიტერიუმებს შეესაბამება და გადალახავს ქულების მინიმალურ ზღვარს, დაშვებული იქნება შემდგომ - სრული საპროექტო განაცხადის მომზადების ეტაპზე.

ყურადღება: <u>არასრული განაცხადი არ განიხილება!</u>

განაცხადი გაეთიშება საგრანტო კონკურსს, თუ:

- პროექტი განხორციელება იგეგმება სამიზნე თემების (გუდამაყარი, ფშავი, პირაქეთა ხევსურეთი) ფარგლებს გარეთ (იხ. დანართი #7, სამიზნე სოფლების ჩამონათვალი);
- განაცხადში გამოტოვებულია/შეუვსებელია რომელიმე პუნქტი;
- განაცხადში ზუსტად არ არის მითითებული არაგვის თემთა განვითარების სტრატეგიის პროირიტეტების დოკუმენტიდან სტრატეგიული მიზანი და პრიორიტეტული ამოცანა (ზუსტი ციტირება დოკუმენტიდან);
- განმცხადებელი არ იღებს ვალდებულებას აუცილებელ მინიმალურ თანადაფინანსებაზე;
- პროექტი არის პოლიტიკური ან რელიგიური ნიშნით მიკერძოებული;
- პროექტი აყენებს ზიანს გარემოს;

შეფასების კომისია უფლებას იტოვებს მიიღოს გადაწყვეტილება საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი საგრანტო სახელმძღვანელოში, დამსწრეების ხმათა 2/3-ის ოდენობით.

გრანტიორების მიმართ არსებული მოთხოვნები, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თუ შესყიდვის პროცედურები და ა.შ.

ბიზნეს პროექტების განმცხადებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი სახის ტრენინგები:

1) ბიზნეს გეგმის შემუშავების ტრენინგი: ეს ტრენინგი მოიცავს ბიუჯეტის და მარკეტინგული გეგმების შედგენის პრაქტიკული მეთოდებს, ასევე საგადასახადო კანონმდებლობის და სურსათის უვნებლობის რეგულაციების შესაბამის მოთხოვნებს.

2) თითოეულ ბიზნეს განმცხადებელს ექნება 1 საათი ინდივიდუალური კონსულტაციის შესაძლებლობა პროექტის ფარგლებში მოწვეულ ექსპერტთან მათ ინდივიდუალურ ბიზნეს გეგმასთან დაკავშირებით.

III ეტაპი - სრული განაცხადების წარდგენა და განხილვა;

იწარმოება მიღებული დოკუმენტების სია და ყოველ განაცხადს მიენიჭება უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი.
საპროექტო განაცხადების შეფასებას ახდენს პროექტების შეფასების კომისია, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის წევრების მიერ მისივე შემადგენლობიდან, ფიფლ ინ ნიდ-ის წარმომადგენლები და მოწვეული ექსპერტები.

სრული საპროექტო განაცხადი შინაარსობრივად არ განიხილება, თუ:

- სწორად არ არის განსაზღვრული თანამონაწილეობის წილი;
- საპროექტო განაცხადში ყველა მოთხოვნილი პუნქტი არ არის შევსებული და სიტყვათა რაოდენობა არ ემთხვევა მოთხოვნილს;
-თითოეულ პუნქტსა და ქვეპუნქტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეუსაბამოა სათაურთან;
-ბიუჯეტში შეტანილია დაუშვებელი ხარჯები.

აუცილებელია საპროექტო განაცხადში ზუსტად იყოს მითითებული პროექტის შესაბამისობა არაგვის თემთა განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან. ზუსტად უნდა იყოს წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტის „სტრატეგიული მიზანი“, „პრიორიტეტული ამოცანა“, „განხორციელების გზა“ და შესაბამის გრაფაში დასაბუთებული, მოსალოდნელი შედეგის კავშირი „შეფასების ინდიკატორთან“.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის გასაგრძელებლად საპროექტო განაცხადმა უნდა გადალახოს ქულათა 50%-იანი მინიმუმი.

შეფასების კომისიის გადაწყვეტილებით, მცირე ხარვეზების მქონე განაცხადის ავტორებს შესაძლებელია

[4] http://www.aragvilag.ge/
[5] Pin.ge

III ეტაპი - ტრენინგი სრული საპროექტო განაცხადის დასაწერად;

ყველა განმცხადებელს, რომლებმაც გადალახეს პირველადი შეფასების ეტაპი, ექნება საშუალება გაიაროს შესაბამისი ტრენინგი ან კონსულტაციები.

ბიზნეს პროექტების განმცხადებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი სახის ტრენინგები:

1) <u>ბიზნეს</u> გეგმის შემუშავების ტრენინგი: ეს ტრენინგი მოიცავს ბიუჯეტის და მარკეტინგული გეგმების შედგენის პრაქტიკული მეთოდებს, ასევე საგადასახადო კანონმდებლობის და სურსათის უვნებლობის რეგულაციების შესაბამის მოთხოვნებს.

2) თითოეულ ბიზნეს განმცხადებელს ექნება 1 საათი ინდივიდუალური კონსულტაციის შესაძლებლობა პროექტის ფარგლებში მოწვეულ ექსპერტთან მათ ინდივიდუალურ ბიზნეს გეგმასთან დაკავშირებით.

არამომგებიანი პროექტების განმცადებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება საპროექტო განაცხადის შედგენის ტრენინგი. ამ ტრენინგის ფარგლებში განმცხადებლები ისწავლიან თუ როგორ დაწერონ სრული საპროექტო განაცხადი და გაივლიან ისეთ საკითხებს, როგორიცაა დაინტერესებულ პირთა ანალიზი, საჭიროებების შეფასება, ბიუჯეტის შედგენა, ასევე პროექტის მდგრადობის და რისკების ანალიზი.

ტრენინგების და კონსულტაციების პარალელურად, განმცხადებლები დამოუკიდებლად მოამზადებენ სრულ საპროექტო განაცხადს და დადგენილ ვადებში გადააგზავნიან ელექტრონულ მისამართზე: **aragvigrants@gmail.com;** სხვა ფორმით გამოგზავნილი განცხადება არ მიიღება.

სრული სათემო საპროექტო განაცხადის მიღებისას, საინიციატივო ჯგუფს მოეთხოვება სოფლის მოსახლეობისგან ხელმოწერებით დადასტურებული დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება თემის საჭიროება. ასევე ხელმოწერები უნდა ადასტურებდეს თანხმობას თანადაფინანსების თანხა სოფლის მაცხოვრებლებისგან აგროვების შესახებ.

იწარმოება მიღებული დოკუმენტების სია და ყოველ განაცხადს მიენიჭება უნიკალური სარეგისტრაციო ნომერი.

მიეცეს დამატებით რამდენიმე დღე განაცხადის სრულყოფისთვის.

განაცხადი გაეთიშება საგრანტო კონკურსს, თუ:

- პროექტი განხორციელება იგეგმება სამიზნე თემების (გუდამაყარი, ფშავი, პირაქეთა ხევსურეთი) ფარგლებს გარეთ; (იხ. დანართი #7, სამიზნე სოფლების ჩამონათვალი);
- განაცხადში გამოტოვებულია/შეუვსებელია რომელიმე პუნქტი;
- განაცხადში ზუსტად არ არის მითითებული არაგვის თემთა განვითარების სტრატეგიის პროირიტეტების დოკუმენტიდან სტრატეგიული მიზანი და პრიორიტეტული ამოცანა (ზუსტი ციტირება დოკუმენტიდან);
- განმცხადებელი არ იღებს ვალდებულებას აუცილებელ მინიმალურ თანადაფინანსებაზე;
- პროექტი არის პოლიტიკური ან რელიგიური ნიშნით მიკერძოებული;
- პროექტი აყენებს ზიანს გარემოს;

IV ეტაპი - **შერჩეულ განმცხადებლებთან გასაუბრება და მონიტორინგი;**

შეფასების კომისია ჩანიშნავს სპეციალურ შეხვედრას სრული საპროექტო განაცხადის ავტორებთან, რომლებიც ინდივიდუალურად, ზეპირად წარადგენენ საკუთარ პროექტებს. განმცხადებლები არ ესწრებიან სხვა განაცხადის ავტორების ზეპირ წარდგენებს. შეფასების კომისიის წევრებს შეუძლია დასვან დამატებითი კითხვები პროექტთან დაკავშირებით.

ფიფლ ინ ნიდ -ის თანამშრომლები და არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის წევრები პარალელურ რეჟიმში შეაფასებენ საპროექტო განაცხადში აღწერილ, პროექტისათვის განკუთვნილ უძრავ და მოძრავ აქტივებს ადგილზე გასვლით, რის შემდეგაც წარუდგენენ შესაბამის რეკომენდაციებს პროექტების შეფასების კომისიას.

V ეტაპი - შედეგების გამოცხადება და გრანტიორებთან ხელშეკრულებების გაფორმება;

საპროექტო განაცხადების საბოლოო შეფასება ხდება ქულების სისტემის, ინფორმაციის შესაბამისობის დასკვნების და ზეპირი პრეზენტაციის საფუძველზე, ტექნიკური/დარგის ექსტეპტ-სპეციალისტის

IV ეტაპი - სრული საპროექტო განაცხადების წარდგენა, განხილვა;

საპროექტო განაცხადების შეფასებას ახდენს პროექტების შეფასების კომისია, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის წევრების მიერ მისივე შემადგენლობიდან, ფიფლ ინ ნიდ-ის წარმომადგენლები და მოწვეული ექსპერტები.
საგრანტო განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვისთანავე პროექტების შეფასების კომისია იწყებს საგრანტო განაცხადების შეფასების პროცესს თანდართული კრიტერიუმების მიხედვით (დანართი #2 და #4). შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს არაგვის თემთა განვითარების სტრატეგიიდან.

სრული საპროექტო განაცხადი შინაარსობრივად არ განიხილება, თუ:
- სწორად არ არის განსაზღვრული თანამონაწილეობის წილი;
- ბიუჯეტში ფიფლ ინ ნიდ-სგან მოთხოვნილი თანხა 10%-ით და მეტად აღემატება პირველად განაცხადში მოთხოვნილ თანხას;
- საპროექტო განაცხადში ყველა მოთხოვნილი პუნქტი არ არის შევსებული და სიტყვათა რაოდენობა არ ემთხვევა მოთხოვნილს;
-თითოეულ პუნქტსა და ქვეპუნქტში წარმოდგენილი ინფორმაცია შეუსაბამოა სათაურთან;
-ბიუჯეტში შეტანილია დაუშვებელი ხარჯები.

აუცილებელია საპროექტო განაცხადში ზუსტად იყოს მითითებული პროექტის შესაბამისობა არაგვის თემთა განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან. ზუსტად უნდა იყოს წარმოდგენილი პრიორიტეტების დოკუმენტის „სტრატეგიული მიზანი“, „პრიორიტეტული ამოცანა“, „განხორციელების გზა“ და შესაბამის გრაფაში დასაბუთებული, მოსალოდნელი შედეგის კავშირი „შეფასების ინდიკატორთან“.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის გასაგრძელებლად საპროექტო განაცხადმა უნდა გადალახოს ქულათა 50%-იანი მინიმუმი.

მოწვეული ექსპერტი პარალელურ რეჟიმში, ბიზნეს სექტორის საპროექტო განაცხადებზე ამზადებს ფინანსურ შეფასებას და შესაბამის რეკომენდაციებს პროექტების შეფასების კომისიისთვის.

რეკომენდაციების გათვალისწინებით. შეფასების შედეგები საჯაროდ იქნება გამოცხადებული. ყველა საპროექტო განაცხადის ავტორს შეუძლია მიიღოს წერილობითი დასაბუთება.
არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისია უფლებას იტოვებს მიიღოს გადაწყვეტილება საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი საგრანტო სახელმძღვანელოში, დამსწრეების ხმათა 2/3-ის ოდენობით.
- პროექტების მხარდაჭერა მოხდება უმაღლესი შეფასების და მოცემული კონკურსისთვის არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.
- იმ განაცხადების ავტორები, რომელთა მხარდაჭერა ვერ მოხდება საგრანტო კონკურსში მიიღებენ რეკომენდაციებს მომავალი კონკურსისთვის გასათვალისწინებელ საკითხებთან დაკავშირებით
- თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომელთა ავტორების ასაკი არის 50 ან უფრო ნაკლები (რეგიონში დაბრუნების ხელშეწყობის მიზნებისთვის);
- შეფასების კომისიამ შესაძლოა შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მიღებულ საპროექტო განაცხადებში;

გრანტის ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება განაცხადთან ერთად წარდგენილ ბიუჯეტზე. აღნიშნული თანხის გადამოწმება მოხდება შეფასების კომისიის მიერ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციისთვის ასევე მოიწვევს ტექნიკურ და ფინანსურ ექსპერტებს. კომისიამ შესაძლოა განმცხადებელს მოსთხოვოს გაუმართლებელი ხარჯების შემცირება ან ამოღება, რათა განაცხადი აკმაყოფილებდეს პროექტის მიზნებს.

საგრანტო ხელშეკრულება:
- მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორები ფიფლ ინ ნიდ -ის შესყიდვების ექსპერტებთან ერთად, ამზადებენ საჭირო დოკუმენტაციას;
- პარალელურად, ბიზნეს სექტორის მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორები სამართლებრივად რეგისტრირდებიან (თუ ჯერ არ არიან რეგისტრირებული) და წარადგენენ სათანადო დოკუმენტაციას;
- შემდგომ, მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორებთან გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება;

შეფასების კომისიის გადაწყვეტილებით, მცირე ხარვეზების მქონე განაცხადის ავტორებს შესაძლებელია მიეცეს დამატებით რამდენიმე დღე განაცხადის სრულყოფისთვის. **IV ეტაპი - შერჩეულ განმცხადებლებთან გასაუბრება და მონიტორინგი;** შეფასების კომისია ჩანიშნავს სპეციალურ შეხვედრას სრული საპროექტო განაცხადის ავტორებთან, რომლებიც ინდივიდუალურად, ზეპირად წარადგენენ საკუთარ პროექტებს. განმცხადებლები არ ესწრებიან სხვა განაცხადის ავტორების ზეპირ წარდგენებს. შეფასების კომისიის წევრებს შეუძლია დასვან დამატებითი კითხვები პროექტთან დაკავშირებით. ფიფლ ინ ნიდ -ის თანამშრომლები და არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის წევრები პარალელურ რეჟიმში შეაფასებენ საპროექტო განაცხადში აღწერილ, პროექტისათვის განკუთვნილ უძრავ და მოძრავ აქტივებს ადგილზე გასვლით, რის შემდეგაც წარუდგენენ შესაბამის რეკომენდაციებს პროექტების შეფასების კომისიას. **VI ეტაპი - საბოლოო გადაწყვეტილება და საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა** საპროექტო განაცხადების საბოლოო შეფასება ხდება ქულების სისტემის, ინფორმაციის შესაბამისობის დასკვნების და ზეპირი პრეზენტაციის საფუძველზე, დამოუკიდებელი ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინებით. გამარჯვებული პროექტების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ იქნება გამოცხადებული. ყველა საპროექტო განაცხადის ავტორს შეუძლია მიიღოს წერილობითი დასაბუთება. ისევე როგორც საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე, არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისია უფლებას იტოვებს მიიღოს გადაწყვეტილება საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გაწერილი საგრანტო სახელმძღვანელოში, დამსწრეების ხმათა 2/3-ის ოდენობით. - პროექტების მხარდაჭერა მოხდება უმაღლესი შეფასების და მოცემული კონკურსისთვის არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. - იმ განაცხადების ავტორები, რომელთა მხარდაჭერა ვერ მოხდება კონკურსის პირველ	

რაუნდში, მიიღებენ რეკომენდაციებს მომავალი კონკურსისთვის გასათვალისწინებელ საკითხებთან დაკავშირებით - თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება განაცხადებს, რომელთა ავტორების ასაკი არის 50 ან ნაკლები (რეგიონში დაბრუნების ხელშეწყობის მიზნებისთვის); - შეფასების კომისიამ შესაძლოა შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მიღებულ საპროექტო განაცხადებში; **გრანტის ზუსტი ოდენობა** დამოკიდებული იქნება განაცხადთან ერთად წარდგენილ ბიუჯეტზე. აღნიშნული თანხის გადამოწმება მოხდება შეფასების კომისიის მიერ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციისთვის ასევე მოიწვევს ტექნიკურ და ფინანსურ ექსპერტებს. კომიტეტმა შესაძლოა განმცხადებელს მოსთხოვოს გაუმართლებელი ხარჯების შემცირება ან ამოღება, რათა განაცხადი აკმაყოფილებდეს პროექტის მიზნებს. **საგრანტო ხელშეკრულება:** - მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორები ფიფლ ინ ნიდ -ის შესყიდვების ექსპერტებთან ერთად, ამზადებენ საჭირო დოკუმენტაციას; - პარალელურად, ბიზნეს სექტორის მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორები სამართლებრივად რეგისტრირდებიან (თუ ჯერ არ არიან რეგისტრირებული) და წარადგენენ სათანადო დოკუმენტაციას; - შემდგომ, მხარდაჭერილი საპროექტო განაცხადის ავტორებთან გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება;	

განმცხადებელმა განაცხადის შევსებულ ფორმასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ქონების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. მაგალითად: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, იჯარის შემთხვევაში - შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი, ოჯახის წევრის მფლობელობის შემთხვევაში - დროებით სარგებლობაში გადმოცემის დოკუმენტი და ა. შ.

ასევე, სავალდებულოა ყველა შესაბამისი დანართის წარდგენა.

არ განიხილება განაცხადი, რომელსაც არ ახლავს ყველა შესაბამისი დანართი.

დანართები:

დანართი #1 – ორგანიზაციის წესდება (არსებობის შემთხვევაში);
დანართი #2 – მოძრავი ან უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
დანართი #3 – ხელშეკრულებები, წინასწარი შეთანხმების დოკუმენტები;
დანართი #4 - ლიცენზიები, ნებართვები, შესაბამისობის მოთხოვნები;
დანართი #5 – ექსპერტების დასკვნები;
დანართი #6 – ნახაზები, სურათები და ა.შ;

სხვა დოკუმენტაცია პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შესყიდვების პროცედურები:

- განმცხადებელი ახორციელებს საკუთარი ფინანსური თანამონაწილეობის ფარგლებში შესყიდვების პროცედურებს მხოლოდ საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციას წარადგენს ფიფლ ინ ნიდ-ის თანამშრომლებს;
- განმცხადებლის მხრიდან თანამონაწილეობის ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების მიღების შემდეგ, ფიფლ ინ ნიდ-ი დაიწყებს შესყიდვების პროცესს, რომელიც განხორციელდება ფიფლ ინ ნიდ-ის შესყიდვების რეგულაციების შესაბამისად.

საგრანტო კონკურსის ბენეფიციარები ფიფლ ინ ნიდ-ის მიერ შეძენილ ქონებას მიიღებენ დროებით სარგებლობაში, ხოლო მონიტორინდის ვადაში დადებითი შეფასების შემთხვევაში გადაეცემათ საკუთრებაში.

გასაჩივრების პროცედურები

ყველა ინფორმაცია განაცხადზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მიეწოდება პერსონალურად მხოლოდ განმცხადებელს. ყველა გამარჯვებული პროექტის შესახებ ინფორმაცია აიტვირთება შესაბამის ვებ-გვერდზე.

დაინტერესების შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია მიიღოს წერილობითი ინფორმაცია განაცხადის ხარვეზების და შეფასების შესახებ. ყველა იმ განმცხადებელს ვინც თვლის, რომ მათი პროექტი არასამართლიანად იქნა შეფასებული ან შესაბამისი პროცედურები არ იყო დაცული, შეუძლია მიმართოს ფიფლ ინ ნიდ-ის პროექტის მენეჯერს წერილობითი ფორმით აპელაციისთვის. პროექტის მენეჯერი დამოუკიდებლად მოიპოვებს დამატებით ინფორმაციას და განმცხადებელს მიიწვევს შეხვედრაზე. თუ განმცხადებელს ექნება ძლიერი არგუმენტები, ფაქტობრივად და დოკუმენტურად დასტურდება პროცედურების დარღვევა, მაშინ პროექტის

მენეჯერი წერილობითი რეკომენდაციით მიმართავს არაგვის განვითარების ჯგუფის აღმასრულებელ დირექტორს, საკითხის არაგვის თემთა განვითარების ჯგუფის პროექტების შეფასების კომისიასთან ერთად განხილვისთვის მიზნით.

ფაქტობრივად დაუსაბუთებელი გასაჩივრების შემთხვევაში აპელაციის პროცედურები არ განხორციელდება.

ბენეფიციარების შესაძლებლობების ზრდა:

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შემდეგ წარმატებული განმცხადებლები მიიღებენ მათ საჭიროებებზე მორგებულ შესაძლებლობების ზრდის აქტივობებში მონაწილეობის შეთავაზებას. ბიზნეს სექტორისთვის სემინარები თემებზე: ბაზრის ზოგადი კვლევა, ბიზნესის დაგეგმვა, ხარჯების/შემოსავლების ანალიზი, მარკეტინგის და მდგრადობის სტრატეგიები. სემინარებზე გამოყენებული იქნება ინდივიდუალური მიდგომა და პრაქტიკული მაგალითები, ხოლო მონაწილეები იმუშავებენ საკუთარი ბიზნესის/საწარმოს მაგალითებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის სემინარები თემებზე: პროექტის მართვა, ძირითადი იურიდიული და ფინანსური საკითხები და საზოგადოებასთან ურთიერთობა/PR.

მხარდაჭერილი პროექტების მონიტორინგი და მართვა განხორციელდება რეგულარულად, 3 თვეში ერთხელ ფიფლ ინ ნიდ-ის და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ პროექტით დადგენილი მონიტორინგის გეგმის, კონკრეტული ბიზნეს განაცხადის ინდიკატორების და ბენეფიციართან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით. მონიტორინგის მიზანია პროექტის პროგრესის და ბენეფიციარის შემდგომი საჭიროებების შეფასება და მხარდაჭერა.

პროექტის მიმდინარეობისას ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. პირდაპირი ბენეფიციარი აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის გუნდისათვის 3 წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში.

გამოცდილების გაზიარების მიზნით, ფიფლ ინ ნიდ-ის და განვითარების ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს თავისი საწარმოს/წარმოების ჩვენება ყველა დაინტერესებული პირისთვის, საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან მომდევნო მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.